მოდული

1. ზოგადი ინფორმაცია

სახელწოდება:	მეწარმეობა
მოცულობა კრედიტებში	4
მოდულზე დაშვების წინაპირობა:	საბაზო განათლება
მოდულის აღწერა:	**მოდული მიზნად ისახავს, პროფესიულ სტუდენტს:** - განუვითაროს პროექტის დაგეგმვისა და მართვისთვის საჭირო უნარები; - დაეხმაროს ინიციატივის გამოვლენასა და რისკის გაწევაში; შემოქმედებითი იდეების ჩამოყალიბებაში; - დაეხმაროს სამეწარმეო საქმიანობის დროს პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

მოდულის აღწერა:

მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოქალაქეობისა და გეოგრაფიის სტანდარტებთან.

2. **სტანდარტული ჩანაწერები**

სწავლის შედეგები პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეძლოს:	**შესრულების კრიტერიუმები** პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:	**კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები**	**შეფასების მიმართულება**
1.მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა; 2.ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების გამოვლენა. 3. მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გააზრება მოსახლეობის კეთილდღეობისთვის; 4.მოსახლეობის ძირითადი	• ბიზნესის იდეის დასაბუთებულებად ჩამოყალიბება (1,2) • ბიზნესიდეის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკების ადეკვატურად აღწერა (1,2) • ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭირო ლიცენზიების/ნებართვების/სერტიფიკატების სწორად იდენტიფიცირება (1,2) • საწარმოს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების სწორად დასაბუთება (1,2,3) • ბაზრის სწორად კვლევა (1,2) • რესურსებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებული კავშირების გაანალიზება (3,5) • საქართველოს კონტექსტში გლობალური პრობლემების და მათი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება (5) • საკუთარი ქვეყნის ბიზნეს შესაძლებლობების აღწერა (1) • ბიზნესის ორგანიზების პროცესში რეგიონული სპეციფიკისა და რეგიონებად დაყოფის პრინციპების გათვალისწინება (1,2,5) • ბუნებრივი გარემოს ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგების იდენტიფიცირება (3,4)	**ბიზნესის დაგეგმვა/ რეგისტრაცია** **ბაზრის კვლევის ელემენტები:** პოტენციური მომხმარებლები, პოტენციური კონკურენტები, მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბები წარმოებულ საქონლზე/გაწეულ მომსახურეობაზე, მსგავსი საქონლის/მომსახურების ფასების შესახებ ინფორმაციის მოძიება ლოკალურ ბაზარზე. **მეწარმე-სუბიექტები, იგივე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:** ინდივიდუალური მეწარმე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია), კოოპერატივი. **გლობალური პრობლემები:** გლობალური ეკონომიკური პრობლემები: რესურსული პრობლემა(მინერალური რესურსები); სასურსათო პრობლემა, ენერგეტიკული პრობლემა, ცხოვრების დონე და ხარისხი; გლობალური ეკოლოგიური პრობლემები. **რეგიონული სპეციფიკა:** მთისა და ბარის რეგიონების; განვითარებული და დეპრესიული რეგიონები; ზოგადად ქვეყნების ტიპოლოგია ეკონომიკური განვითარების მხრივ რეგიონულ კონტექსტში. **ანთროპოგენური ცვლილება:** გლობალური სოციალური პრობლემები (ჯანმრთელობა); ტექნოგენური კატასტროფები; მწვანე	პრაქტიკული დავალება

მახასიათებლების ცვალებადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გააზრება; 5. ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ზეგავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე; 6. სხვადასხვა ტიპის წყაროდან ინფორმაციის ამოკითხვა და გაანალიზება; კვლევის შედეგების ცხრილების, გრაფიკების და დიაგრამების სახით წარმოდგენა.		ეკონომიკა და მდგრადი განვითარება.	
	• ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოების/მომსახურების ტექნოლოგიური პროცესის სწორად აღწერა (1,2,6) • ტექნოლოგიის გათვალისწინებით, საჭირო ძირითადი საშუალებების, აღჭურვილობისა და ინვენტარის სწორად იდენტიფიცირება (1,2,3) • საჭირო მასალებისა და ნედლეულის სწორად განსაზღვრა (1,2,3) • საწარმოს მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის გზების სწორად აღწერა (1,2,3) • კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობისთვის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების მაგალითების ჩამოთვლა (4,5,6) • საჭირო ადამიანური რესურსის სწორად განსაზღვრა (1,2,3,5)	**ბიზნესის ორგანიზება** **ძირითადი საშუალებები, აღჭურვილობა და ინვენტარი:** მანქანები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები, მიწის ფართი, ინვენტარი, კომუნიკაციები. მასალები და ნედლეული: წარმოების პროცესში გამოყენებული საბრუნავი საშუალებები, მ.შ. ენერგეტიკული რესურსები. **მასალები და ნედლეული:** წარმოების პროცესში გამოყენებული საბრუნავი საშუალებები, მ.შ. ენერგეტიკული რესურსები. **ბუნებრივი და ადამიანური რესურსი:** სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო შრომითი რესურსი და სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი რესურსები. **მდგრადი განვითარების კონცეფცია:** ბიზნესის წარმოებაში რაციონალური მიდგომები მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად.	პრაქტიკული დავალება
	• სტიმულირების სახეების და მათი გამოყენების განსაზღვრა (1,2) • ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბაზრის, სადაც აპირებს პოზიციონირებას, სწორად შერჩევა (1,2,3,4) • ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, გაყიდვების სახის სწორად შერჩევა (1,2) • ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით,	**პროდუქციის/** **მომსახურების რეალიზაცია** **მიწოდების ფორმა:** ნაყარი, დაფასოებული, შეფუთვა, დიზაინი, გაყიდვა ადგილიდან, სავაჭრო ქსელის გამოყენება, დისტრიბუცია, ადგილზე მიწოდება/მომსახურეობა, სტანდარტული სერვისი, მომხმარებელზე მორგებული (კორპორატიული) სერვისი. **გაყიდვების სახე:** საბითუმო, საცალო, მომსახურების	პრაქტიკული დავალება

	მიწოდების ფორმის სწორად შერჩევა (1,2,3,4) • ბიზნესისა და მომხმარებლის სპეციფიკის გათვალისწინებით, მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმების სწორად შერჩევა (1,2,5) • საქონლის ფასების სწორად განსაზღვრა (1,2,6)	სტანდარტული და კორპორატიული სერვისები. **სტიმულირების მექანიზმები:** რეკლამა, პერსონალური გაყიდვა, გაყიდვების სტიმულირება, კავშირები საზოგადოებასთან.	
	• ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ხარჯების სწორად ჩამოთვლა (1,2,3,6) • სწორად აღრიცხავს შემოსავლებისა და ხარჯების სწორად აღრიცხვა (1,2,6) • ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიუჯეტში შესატანი გადასახადების სწორად იდენტიფიცირება (1,2,6) • მოსალოდნელი მოგების სწორად ანგარიში (1,2,6) • განიხილოს ტექნოლოგიური პროგრესის ზეგავლენა ეკონომიკის განვითარებისთვის (1,2,3,4,6) • საკუთარი ქვეყნის მაგალითზე ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების განიხილვა (3,4,5,6) • კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით ნედლეულის მოპოვების გავლენაზე პოლიტიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ პრიორიტეტებზე არგუმენტირებულად მსჯელობა (1,2,3,4) მდგრადი განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით ბიზნესის სპეციფიკის განსაზღვრა (1,2,3) • ქვეყნების განვითარების სოციალურ-	**ფინანსური გეგმების შედგენა** **გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება** **შემოსავლები:** საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, იჯარა, საპროცენტო სარგებელი, სესხი. **ხარჯები:** მუდმივი და ცვალებადი ხარჯები **დემოგრაფიული პრობლემები;** ადამიანური რესურსი, როგროც შრომითი რესურსი; შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილის მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების გზაზე. **ქვეყნები ეკონომიკური განვითრების დონის მიხედვით.** **მთლიანი შიდა პროდუქტი და ჰუმანური განვითარების ინდექსი:** გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული მატერიალური პროდუქციის და მომსახურების საერთო ღირებულება; ქვეყნების განვითრების დონის მაჩვენებელი ინდექსი, რომელიც თავის მხრივ მოიცვას მშპ-ს, დემოგრაფიულ და განათლების კომპონენტებს.	პრაქტიკული დავალება

	ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების განხილვა (3,4,5) • არგუმენტირებულად იმსჯელოს სხვადასხვა ეპოქაში სახელმწიფოს როლის ცვლილებაზე ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობისა და ბიზნესის წარმოების განვითარებაში (1,2,34) • ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტისა და ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით განხილვა (1,2,3,4,6)		

3. ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები

ცნებები	**მკვიდრი წარმოდგენები**
გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი	• გეოგრაფიული კვლევა გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, მის ანალიზს და პროგნოზირებას. • პროგნოზირება მნიშვნელოვანია სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. • სხვადასხვა გლობალური პრობლემის ანალიზი და მისი გადაჭრის გზების მოძებნა შესაძლებელია გეოგრაფიული კვლევით.
მოსახლეობა და მეურნეობა	• დედამიწაზე მოსახლეობა არათანაბრად არის განაწილებული. • მსოფლიოს მოსახლეობა განუწყვეტლივ იცვლება, ამ ცვლილებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. • მოსახლეობას სხვადასხვა სტრუქტურა გააჩნია: ეთნიკური, ასაკობრივი, სქესობრივი, რელიგიური. • სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს. • მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, ადამიანური (ჰუმანური) განვითარების ინდექსი ქვეყნების განვითარების დონის მაჩვენებელია.

	• მოსახლეობის რაოდენობის კონტროლი სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის მეშვეობით არის შესაძლებელი. • ქვეყნებს შორის უთანაბრო განვითარების გამოსახვა ჯინის ინდექსით არის შესაძლებელი.
მდგრადი განვითარება	• მდგრადი განვითარება ეს არის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისე, რომ რესურსები მომავალ თაობებსაც შევუნარჩუნოთ. • მდგრადი განვითარება სამი მთავარი კომპონენტისგან შედგება: სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი. • მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაც აუცილებელია მსოფლიო კეთილდღეობისათვის. • გარემოს დაცვა მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის.

4. დამხმარე ჩანაწერები

4.1. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	**თემატიკა**	**სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები**	**შეფასების მეთოდი/მეთოდები**	**მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის**
1,2,3,4,5,6.	• ბიზნესი და მეწარმეობა; • ბიზნესის ადგილი და როლი ეკონომიკაში; • ბიზნესის მდებარეობა და მისი გავლენა წარმატებაზე; • ბაზარი და მისი სტრუქტურა; • ბაზრის კვლევის მნიშვნელობა, კვლევის ელემენტები; • ინფორმაციის	**ინტერაქტიული ლექცია -** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას პროფესიული სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის აგების პროცესში, რისთვისაც შესაძლებელია	პრაქტიკული დავალება: • ბიზნეს იდეის შერჩევა; • ბიზნესის სახელწოდების შერჩევა; • ბიზნესის მდებარეობის შერჩევა; • პოტენციური კლიენტების განსაზღვრა; • პოტენციური კონკურენტების განსაზღვრა; • მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბების განსაზღვრა, მსგავს საქონელზე/მომსახურეობაზე;	**პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა.

	შეგროვების გზები; • სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროები; • სამეწარმეო გარემო; • ბიზნესის იდეა და მის შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურები; • ბიზნესის სახელწოდება და მის შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურები მეწარმე-სუბიექტები (ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: ✓ ინდივიდუალური მეწარმე ✓ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ✓ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) ✓ კომანდიტური საზოგადოება (კს) ✓ სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) ✓ კოოპერატივი მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები); • ბიზნესის რეგისტრაცია და პროცედურები;	პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს პროფესიულ სტუდენტებს ქეისები, ჩართოს დისკუსიაში, დამოუკიდებლად ამუშაოს ტექსტზე და ა.შ **პრაქტიკული მეცადინეობა -** მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. პროფესიული სტუდენტები ჯერ პროფესიული განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს.	• ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა და დასაბუთება; • ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად, ბიზნესის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შედგენა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების სახეობებისა და მისი მართვის მექანიზმების განსაზღვრა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით საჭირო ლიცენზიების/ნებართვების/სერტიფიკატების სახეობის იდენტიფიცირება.	

	• სარეგისტრაციო დოკუმენტები; • პარტნიორები და წილობრივი მონაწილეობა; • ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და მისი მართვის მექანიზმები; • ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები, მათი არსი და სახეები.			
	• საწარმოო რესურსები, მათი კლასიფიკაცია (ბუნებრივი რესურსები (გამოლევადი და გამოულეველი, ადამიანური რესურსები); • წარმოების ფაქტორები, მათი კლასიფიკაცია; • ტექნოლოგიური პროცესი, მასალები და ნედლეული; • მასალებისა და ნედლეულის ბაზრები; • შრომითი რესურსის არსი და მისი საჭიროების განსაზღვრა.	**ინტერაქტიული ლექცია -** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას პროფესიული სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის აგების პროცესში, რისთვისაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს პროფესიულ სტუდენტებს ქეისები, ჩართოს დისკუსიაში, დამოუკიდებლად	პრაქტიკული დავალება: • ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოების/მომსახურების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა; • ბიზნესის ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, საჭირო ძირითადი საშუალებების, აღჭრულვილობისა და ინვენტარის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა; • ბიზნესის ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, საჭირო მასალებისა და ნედლეულის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობის განსაზღვრა.	**პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა.

		ამუშაოს ტექსტზე და ა.შ **პრაქტიკული მეცადინეობა -** მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. პროფესიული სტუდენტები ჯერ პროფესიული განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს.		
	• მიწოდების ფორმები, საქონლის შეფუთვა და მარკირება, მოთხოვნები მარკირების მიმართ **მიწოდების ფორმა:** ✓ ნაყარი ✓ დაფასოებული ✓ შეფუთვა ✓ დიზაინი ✓ გაყიდვა ადგილიდან	**ინტერაქტიული ლექცია -** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას პროფესიული სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის	პრაქტიკული დავალება: • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით საქონლის შეფუთვის ფორმისა და დიზაინის შერჩევა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით საქონლის/მომსახურების მიწოდების ფორმის შერჩევა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით	**პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და

	✓ სავაჭრო ქსელის გამოყენება ✓ დისტრიბუცია ✓ ადგილზე მიწოდება/მომსახურეობა ✓ სტანდარტული სერვისი ✓ კლიენტზე მორგებული (კორპორატიული) სერვისი; • შერჩეულ მყიდველთან სწორი ურთიერთობის აგება; • გაყიდვის სახეები: ✓ საბითუმო ✓ საცალო ✓ მომსახურების სტანდარტული და კორპორატიული სერვისები; • მომსახურების ბიზნესის სპეციფიკა; • მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმები: ✓ რეკლამა ✓ რეკლამის სახეები მიზნისა და ფუნქციის მიხედვით ✓ პერსონალური გაყიდვა ✓ გაყიდვების სტიმულირება ✓ კავშირები	აგების პროცესში, რისთვისაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს პროფესიულ სტუდენტებს ქეისები, ჩართოს დისკუსიაში, დამოუკიდებლად ამუშაოს ტექსტზე და ა.შ **პრაქტიკული მეცადინეობა -** მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. პროფესიული სტუდენტები ჯერ პროფესიული განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის ფარგლებში	საქონლის/მომსახურების გაყიდვის სახის შერჩევა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით მომხმარებლის სტიმულირების მექანიზმ(ებ)ის შერჩევა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით საქონლის/მომსახურების ფასის განსაზღვრა.	სხვა.

	საზოგადოებასთან; • რეკლამის ეფექტურობა მიზნობრივი ჯგუფის გათვალისწინებით; • საქონლის/მომსახურების ფასის არსი, ფასწარმოქმნა.	განსაზღვრულ კომპეტენციებს.		
	• ბიზნესის დაფინანსების წყაროები: ✓ საკუთარი ✓ მოზიდული (საბანკო კრედიტი, ინვესტიცია, დაფინანსება, გრანტი და სხვა); • ბიზნესი შემოსავლები და მისი სახეები: ✓ საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები ✓ ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები ✓ იჯარა ✓ საპროცენტო სარგებელი ✓ სესხი; • საკონტროლო-სალარო აპარატი, მისი სავალდებულო გამოყენების შემთხვევები; • ბიზნესის ხარჯები და	**ინტერაქტიული ლექცია -** პროფესიული განათლების მასწავლებელი გადასცემს ახალ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია ლექციის მსვლელობისას პროფესიული სტუდენტი არ იყოს ცოდნის პასიური მიმღები. ის თავად უნდა იყოს ჩართული ცოდნის აგების პროცესში, რისთვისაც შესაძლებელია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლექციის მსვლელობისას გამოიყენოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, გაარჩევინოს პროფესიულ სტუდენტებს ქეისები, ჩართოს დისკუსიაში, დამოუკიდებლად ამუშაოს ტექსტზე და ა.შ **პრაქტიკული მეცადინეობა -**	პრაქტიკული დავალება: • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირება; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯების იდენტიფიცირება; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით შემოსავლების სახეობებისა და ოდენობის განსაზღვრა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით ხარჯების სახეობებისა და ოდენობის განსაზღვრა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით ბიუჯეტში შესატანი გადასახადების სახეობების იდენტიფიცირება და გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრა; • ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით წმინდ ა მოგების კალკულაცია.	**პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და არტეფაქტი ან/და ესე ან/და ამოხსნილი კაზუსი ან/და ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი და სხვა.

	სახეები: ✓ მუდმივი ✓ ცვალებადი; • გადასახადის არსი და სახეები: ✓ საშემოსავლო გადასახადი ✓ მოგების გადასახადი ✓ ქონების გადასახადი ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი ✓ აქციზი ✓ იმპორტის გადასახადი; • დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები; • გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის პროცედურები; • ბიუჯეტში შესატანი გადასახადების იდენტიფიცირება და კალკულაცია; • შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაცია; • მოგება; • დივიდენდი;	მეცადინეობა, რომლის ფარგლებშიც პროფესიული განათლების მასწავლებელი/მენტორი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. პროფესიული სტუდენტები ჯერ პროფესიული განათლების მასწავლებლის/მენტორის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს.		
დამატებითი რეკომენდაციები მოდული	მოდულში „მეწარმეობა“ სწავლა-სწავლის შედეგები არ მიიღწევა თანმიმდევრობით. მათზე მუშაობა სხვადასხვა თემატურ კონტექსტებში პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. მოდულის განხორციელების ზოგადი კონცეფცია: მოდული მიზნად ისახავს პროფესიულ სტუდენტებს განუვითაროს მეწარმეობრივი ხედვა და მისცეს მოტივაცია, რომ თვითონვე წამოიწყონ ბიზნესი. ასევე, მისცეს სათანადო ცოდნა და განუვითაროს უნარები, რათა			

ს განხორციელებასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში)	მათ შეძლონ მცირე საწარმოს დაფუძნება, ოპერირება ან არსებული საოჯახო ბიზნესის ფუნქციონირებაში ცვლილებების შეტანა. კურსის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები ირჩევენ სასურველი ბიზნესის სახეს და წერენ მცირე ბიზნესგეგმას. რეკომენდებულია ბიზნესსაქმიანობის სფერო არჩეულ იქნეს მათი ძირითადი სპეციალობის მიხედვით. ეს ასევე შეიძლება იყოს მომიჯნავე ან ისეთი სფერო, რომელშიც გამოიყენებენ შეძენილ დარგობრივ ცოდნასა და უნარებს. თუ კურსი არ ისწავლება როგორც დამოუკიდებელი მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა, მოდულის განხორციელება რეკომენდებულია პროგრამის მეორე ნაწილში, როდესაც პროფესიულ სტუდენტებს უკვე აქვთ გარკვეული დარგობრივი ცოდნა პროცესებისა და ტექნოლოგიის შესახებ, რაც აუცილებელია მე-2 სწავლის შედეგის მისაღწევად. თუ ამისი საჭიროება არსებობს, შეფასების პროცესში შესაძლოა დარგობრივი მოდულების მასწავლებლები იქნენ ჩართულნი. პროფესიულ სტუდენტებს დავალებები შესაძლებელია მიეცეთ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, ჯგუფში პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ უნდა იყოს ხუთზე მეტი. ჯგუფმა უნდა განსაზღვროს მისი თითოეული წევრის პასუხისმგებლობა (ლიდერის როლი) ბიზნესპროექტის ამა თუ იმ კომპონენტის ფარგლებში, თუმცა მუშაობა თითოეულ ნაწილზე მიმდინარეობს ჯგუფურად. ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, საბოლოო პროექტი წარმოადგენს მტკიცებულებას ჯგუფის ყველა წევრის შეფასებისათვის. შეფასების შედეგები ერთნაირია ჯგუფის ყველა წევრისათვის. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის შეფასება, რომელიც არ მონაწილეობდა ან უარი განაცხადა ჯგუფში რომელიმე კომპონენტზე/დავალებაზე პასუხისმგებლობის აღებაზე. მოდულის ფარგლებში შესაბამისი თეორიული მასალა უნდა მიეწოდოთ იმ დროს, როდესაც ამ მასალის გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა გაჩნდება ბიზნესგეგმაზე მუშაობის პროცესში. პროფესიულ სტუდენტებს უნდა განემარტოთ, რომ ამ მოდულის ფარგლებში მათ უნდა შექმნან „ვირტუალური“ ბიზნესი და მოამზადონ მარტივი ბიზნესპროექტი, რომელიც მათი შეფასების მთავარი ინსტრუმენტი და მტკიცებულება იქნება. მოდულის განხორციელებისას შესაძლოა სხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენება, როგორიცაა რეალური ბიზნესის წამოწყება პროფესიული სტუდენტების მიერ, სასწავლო ან სოციალური საწარმო, სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები ვირტუალური ბიზნესისათვის, თუმცა ეს არ წარმოადგენს მოდულის განხორციელების აუცილებელ პირობას. კავშირი დარგობრივ მოდულებთან. სასურველია მასწავლებელმა დარგობრივი მოდულების დამუშავების დროს ყურადღება მიაქციოს რიგი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, როგორიცაა აგრარული მეურნეობისა და ინდუსტრიალიზაციის როლი ეკონომიკის განვითარებაში საქართველოს

	კონტექსტში. რომელიც ხელს შეუწყობს შემდეგი შედეგების მიღწევას: • განიხილავს ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობას ეკონომიკის განვითარებისთვის • განიხილავს ქვეყნების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს • განიხილავს ქვეყნებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით ასევე მიზანშეწონილი იქნება შესასწავლ პროფესიულ დარგთან დაკავშირებული კვლევის თემატიკისა და პროექტების/პრეზენტაციების დამუშავება. • საქართველოს მაგალითზე ნედლეულის მოპოვების გავლენის როლის შესასწავლად პოლიტიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ პრიორიტეტებზე შეიძლება მომზადდეს პროექტი/პრეზენტაცია ჭიათურის მანგანუმის აღმოჩენისა და მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივებთან დაკავშირებით. • გლეხური კერძო მეურნეობის გაჩანაგების საჭიროება კოლექტივიზაციის პროცესში.

4.2. რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.